# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 აგვისტო 2006 №196 (2818) ფასი 50 თეთრი


# ამერმა ახალი ქართული რეალობა შექმნა

## ყოჩაღ, ბიჭებო კი არა, კაცებო!

ბუნდესლიგის კლუბიც ვერ იქნება ჯალათი, თუ შენ თავს მსხვერპლად არ გრძნობ! გუშინ ქართველი ფეხბურთელები და ქართველი გულშემატკივრები გერმანელების ტოლ-სწორნი იყვნენ: ეს იყო ამერის ეფექტი



დავიმახსოვროთ 24 აგვისტო: ოცნებას ხელი ორჯერ შევახეთ



## ექსკლუზივი მეფესთან

## დიეგო მარადონას პირველი ქართული ინტერვიუ

წაიკითხე ხვალინდელ სარბიელში!

## ასე ინება ბედმა

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ბარსელონა“ ისევ „ჩელსის“ შეხვდება... ასე ინება ბედმა, რომელიც ხშირად იუმორის გრძნობას ამჟღავნებს — გუშინ მონაკოში გამართულმა კენჭისყრამ დიდი ევროპული ტიტულის 13 მფლობელი, ორი დებიუტანტი და „ბებერი კონტინენტის“ კიდევ 17 წამყვანი კლუბი რვა ოთხგუნდიან ჯგუფად დაახარისხა.

ვინაიდან ჯგუფების სრულ ჩამონათვალს მეხუთე გვერდზე იხილავთ, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საინტერესო წყვილი შედგა F ჯგუფშიც — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „სელტიკი“. ორივე გუნდი ჩემპიონთა თასის ყოფილი მფლობელია, ერთმანეთს ევროპულ სარბიელზე არასდროს გადაყრიან და თან მათი თამაში ინგლისურ-შოტლანდიური დაპირისპირების ხიბლს გვპირდება.

საინტერესო უნდა იყოს აგრეთვე „მილანისა“ და „ლილის“, „არსენალის“ და „პორტუს“ აგრეთვე „ლივერპულისა“ და „ეინდჰოვენის“ დაპირისპირებანიც.



AFP

გუშინვე უეფამ 2005-2006 წლების სეზონის საკლუბო ტურნირების საუკეთესო მოთამაშეებიც დაასახელა: მცველი — კარლეს პუიოლი, ნახევარმცველი — დეკუ, საუკეთესო ფეხბურთელი — რონალდინიო, მეკარე — იენს ლემანი, თავდამსხმელი — სამუელ ეტოო

# უეფას თასი 2006-2007
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა




წამი სულიკო დავითაშვილის საგოლე დარტყმამდე

ბადრი კითიაშვილის ფოტო

თბილისი. 24 აგვისტო. 21 საათი. მიხეილ მესხი. 7 000 მაყურებელი

**ამერი 2:2 ჰერთა (0:1)**

1:0 დავითნიძე (18), 1:1 ლაკიჩი (35), 2:1 დავითაშვილი (47), 2:2 პანტელიჩი (83)

| | |
|---|---|
| ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, მჭედლიშვილი, დობროვოლსკი, დოლიძე, დეკანოსიძე (ჯელაძე 67), ბოლქვაძე, წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 73), დავითაშვილი (სევასტოპულო 78) *სათადარიგონი:* ნადირაშვილი; გაბისკირია, ჩიკვილაძე, გვაძაბია მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ჰერთა: ფიდლერი, ჩაჰედი, ვან ბურიკი (ფრიდრიხი 87), შიმუნიჩი, ფატი, დარდაი, ნოინდორფი (ებერტი 61), ჟილბერტო, ბაშთურქი, პანტელიჩი, ლაკიჩი (ოკორონკვო 80) *სათადარიგონი:* სტურ-ელეგაარდი; სამბა, კაირო, დეჯაგა მწვრთნელი: ფალკო გიოტცი |

გაფრთხილება: ელბაქიძე (59), პანტელიჩი (88), ჯელაძე (90)

მსაჯები: პაველ ოლშიაკი; რომან ჩაბაი, რადომირ სლუკი; მიროსლავ იაშკა (ყველა სლოვაკეთი)

უეფას დელეგატი: სუნეილ ონენი (თურქეთი);
დამკვირვებელი: ხუან ანტონიო ფერნანდო მარინი (ესპანეთი)

# ძალა მოვა, ღირსება არის
## ამერმა ბუნდესმატჩი ითამაშა

**კახა შალამბერიძე**

**თურმე** ასე თამაშიც შეგვიძლია... ალალად ვთქვათ: „ამერისგან" ასეთ თამაშს და ასეთ შედეგს ძალიან ბევრი არ ელოდა. ეს იყო სასიამოვნო მოულოდნელობა, რომელიც 90 წუთი გაგრძელდა და გული მაგრად ჩაგვწყვიტა — სულ ცოტაც და...

თუმცა ეს სულაც არაა მთავარი. ჩემი აზრით, ეს ის შემთხვევაა, როცა ტაბლო მეორეხარისხოვანი ხდება. იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა, „ამერს" „ჰერთა" გაეგდო, მაგრამ მას აქედანაც შეუძლია, ბევრი სასარგებლო მიიღოს, რამაც კლუბის ზრდაში კატალიზატორის როლი უნდა შეასრულოს...

მერე რა, რომ „ამერი" ქართული გუნდია, „ჰერთა" კი გერმანული; მერე რა, რომ „ამერი" საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, „ჰერთა" კი ბუნდესლიგაში. მერე რა, რომ „ამერი" მხოლოდ ოთხი წლისაა, „ჰერთა" კი საუკუნეზე მეტი ხნის; მერე რა, რომ „ამერი" უეფას თასიდან გავარდა, „ჰერთა" კი მომდევნო ეტაპზე ითამაშებს...

— „ამერი" ყველანაირად შეეცადა, ეს მატჩი უმძიმესი ყოფილიყო ჩვენთვის და ეს მოახერხა კიდეც. თქვენმა გუნდმა საოცრად ითამაშა, ისე, რომ კომპლიმენტებს ვერ დავიშურებ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბერლინელთა თავკაცმა ფალკო გიოტცმა და გვეეჭვება, მისი სიტყვები მხოლოდ დიპლომატია ყოფილიყო.

მოკლედ, „ამერმა" ბერლინი ვერ აიღო, მაგრამ მათ განთქმულ კედელს იმდენი ხვრელი მოუძებნა, რომ თავისუფლად შედი-გამოდიოდა „ქალაქში".

„ყვითლებმა" თავიდან შორეული დარტყმები მოსინჯეს, მერე და მერე კი უფრო თამამად შეუტიეს და სტადიონიც გაოგნდა — ასე თუ გავაგრძელებთ, გოლის გატანაც შეიძლება... დიახ, თურმე შეიძლება. თურმე მონდომების და სწორი თამაშის წყალობით შეიძლება, ბუნდესლიგის მეექვსეადგილოსან გუნდს ისე შეუტიო, რომ მუხლი არ აგიკანკალდეს და მუდამ არ გაწუხებდეს ფიქრი, ნეტავ, დიდი ანგარიშით არ წავაგოთო...

მე-15 წუთი და პირველი უსერიოზულესი მუქარა ბერლინელთა კარზე: „ამერმა" ზედიზედ სამი კუთხური ჩააწოდა და მესამე კინაღამ გოლით დასრულდა — სულიკო დავითაშვილმა ვარდნაში გადააცილა თითქმის ცარიელ კარს.

„ჰერთა" გადარჩა, მაგრამ სამიოდ წუთში მეოთხე კუთხურიც და სტადიონი ლამის დაინგრა — დავით ბოლქვაძის ჩაწოდებულს გიორგი დავითნიძემ ჭვინტი წაჰკრა — 1:0.

„ჰერთა" თითქოს ანერვიულდა, მაგრამ... კლასი თავისას შვრება. სტუმრებმა თამაში დააწყნარეს და ამერელთა ჟინი ჩააცხრეს. ამას მოჰყვა სტოიან ლაკიჩის სახიფათო დარტყმა, რომელსაც ზურაბ ქვაჩახია გადაეფარა და მისიანების შეტევაც წამოიწყო. ერთი გოლიც და „ამერი" თვალებში შეხედავს უეფას თასის მესამე ეტაპს...

კლასი ვთქვით: თბილისელთა შეტევა უშედეგოდ დამთავრდა, ბურთი მალიკ ფატიმ მოიგდო, ერთი პასი, მეორე, ლაკიჩი მეკარესთან პირისპირ გადის და აუღელვებლად ათანაბრებს — 1:1. 36-ე წუთზე თამაშმა თითქოს აზრი დაკარგა. „ამერს" კიდევ ორი გოლი სჭირდება...

მერე რა? განა ბრძოლა არ შეიძლება? განა თამაში დამთავრდა; განა მხოლოდ გერმანელებმა იციან, რომ ფეხბურთი 90-წუთიანია? თურმე ეს ქართულ გუნდსაც შეძლებია...

მეორე ტაიმი დაიწყო და რატი წინამძღვრიშვილს დაბნეული იოსიპ შიმუნიჩი ისე შემოეტყუა ხელში, რომ ბერლინელმა ვერაფერი გაიგო — რატი პირისპირაა, მაგრამ მის უძლიერეს დარტყმულს მეკარე გადაეფარა...

და კიდევ ერთი კუთხური, რომელიც სავალალოდ დასრულდა ბერლინელთათვის: გიორგი დეკანოსიძემ ჩააწოდა, მეკარის ბაქანში ჩასაფრებულმა დავითაშვილმა კი ბურთს იქ მიუჩინა ადგილი, სადაც ახლიდან დაიბადა იმედი — 2:1 და წინ ლამის მთელი ტაიმია...

დროის სვლასთან ერთად „ამერს" დაღლა დაეტყო, მაგრამ არც „ჰერთა" წყვეტდა ვარსკვლავებს. ერთი შეცდომა ძვირად დაუჯდება ნებისმიერ გუნდს და ეს „ამერი" გამოდგა. გახსოვთ სოლომონ ოკორონკვო? ახმახი ფორვარდი, რომელმაც პირველ მატჩში 93-ე წუთზე გაუტანა „ამერს" ერთადერთი გოლი. ოკორონკვომ ახლაც თქვა სათქმელი — შეცვლაზე შესულმა სამ წუთში საგოლე პასი დაუხატა მარკო პანტელიჩს და — 2:2. ეს 83-ე წუთზე მოხდა და ამის შემდეგ გამოსარჩევი იმავ ოკორონკვოს უძლიერესი დარტყმა თუ იყო, ზემოდან რომ წაეხახუნა ხარიხას.

...ხალხმა „ამერი" მხურვალე ტაშით გააცილა. ასე გამარჯვებულებს აჯილდოვებენ...

## პრესკონფერენცია

*ფალკო გიოტცი:* ეს უმძიმესი თამაში იყო წლეულს ჩვენთვის. ბედნიერი ვარ, რომ კონცენტრირება შევძელით და მომდევნო ეტაპზე გავედით. „ამერი" ორჯერ გვიგებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ორივეჯერ გავათანაბრეთ. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში, თუმცა მთავარი შედეგია...

„ამერს" ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. ასეთი ახალგაზრული გუნდისგან ასეთ წინააღმდეგობას ნამდვილად არ ველოდით.

*გიორგი ჩიხრაძე:* მადლობას ვუხდი ბატონ ფალკო გიოტცს ჩვენი შექებისთვის. „ჰერთას" წარმატებას ვულოცავ და მომდევნო ეტაპებზე მოგებებს ვუსურვებ. ჩვენ ახლა „ჰერთას" ქომაგები ვიქნებით...

ეს ორი თამაში ძალიან გამოგვადგება სამომავლოდ. ბევრი რამ ვისწავლეთ და იმედია, ამას მომავალში გამოვიყენებთ. ბიჭებს მადლობას ვუხდი, მათ ბოლომდე იბრძოლეს. მადლობა ქომაგებსაც, რომლებიც მთელი თამაში გვიჭერდნენ მხარს.




მერაბ [illegible] ფოტო




ბადრი კითიაშვილის ფოტო

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# სამფეროვნული ოცეული



აი, საფრანგეთიც: გრეგორი კუპე, უილიამ გალასი, ლილიან ტურამი, ვილი სანიოლი, პატრიკ ვიეირა, კლოდ მაკელელე, ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე, ფრანკ რიბერი... ანუ ყველა, ვინც დღეს უძლიერესად ითვლება „მამლების" ქვეყანაში. ყველა, ზინედინ ზიდანის და ფაბიენ ბარტეზის გარდა, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშეს. ყველა, ვინც საფრანგეთის ნაკრებზე საუბრისას გაგახსენდება...

რაიმონ დომენეკმა რჩეულ მოთამაშეებს უხმო და ის ოცეული დაასახელა, თბილისში რომ ჩამოიყვანს.

იმასღა დავამატებთ, რომ ფრანგები თბილისში 1 სექტემბერს ჩამოვლენ, ქართველებთან თამაშის მერე კი, 6 სექტემბერს, შინ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ხვდებიან.

23



გრეგორი კუპე (31.12.72)
მეკარე: 19-0
„ლიონი"

1



მიკაელ ლანდრო (14.05.79)
მეკარე: 3-0
„პსჟ"

2



ალენ ბუმსონგი (14.12.79)
მცველი: 20-1
„იუვენტუსი", იტალია

3



ერიკ აბიდალი (11.09.79)
მცველი: 15-0
„ლიონი"

5



უილიამ გალასი (17.08.77)
მცველი: 48-2
„ჩელსი", ინგლისი

13



ფრანსუა კლერკი (18.04.83)
მცველი: 0-0
„ლიონი"

15



ლილიან ტურამი (01.01.72)
მცველი: 121-2
„ბარსელონა", ესპანეთი

17



გაელ ჟივე (09.10.81)
მცველი: 12-0
„მონაკო"

19



ვილი სანიოლი (18.03.77)
მცველი: 46-0
„ბაიერნი", გერმანია

4



პატრიკ ვიეირა (23.06.76)
ნახევარმცველი: 95-6
„ინტერი", იტალია

6



კლოდ მაკელელე (18.02.73)
ნახევარმცველი: 50-0
„ჩელსი", ინგლისი

7



ფლორენ მალუდა (13.06.80)
ნახევარმცველი: 20-2
„ლიონი"

8



რიო მავუბა (08.03.84)
ნახევარმცველი: 4-0
„ბორდო"

18



ალიუ დიარა (15.07.81)
ნახევარმცველი: 11-0
„ლიონი"

22



ფრანკ რიბერი (07.04.83)
ნახევარმცველი: 11-1
„მარსელი"

9



სიდნეი გოვუ (27.07.79)
თავდამსხმელი: 23-3
„ლიონი"

11



სილვენ ვილტორდი (10.05.74)
თავდამსხმელი: 88-26
„ლიონი"

12



ტიერი ანრი (17.08.77)
თავდამსხმელი: 86-36
„არსენალი", ინგლისი

14



ლუი საა (08.08.78)
თავდამსხმელი: 13-2
„მანჩესტერი", ინგლისი

20



დავიდ ტრეზეგე (15.10.77)
თავდამსხმელი: 66-32
„იუვენტუსი", იტალია

# იუვე მეტოქეს გვიფეთქებს

**ფიფა** თითს უქნევს იტალიის ფეხბურთის ფედერაციას და ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება მსოფლიო ფეხბურთის მმართველთა რეაქცია გუშინდელი ამბის შემდეგ — ტურინის „იუვენტუსმა" არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, უკან არ დაიხია და აპელაცია სამოქალაქო სასამართლოში შეიტანა.

მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: კალჩოპოლის ცნობილი სკანდალის შემდეგ სპორტულმა ტრიბუნალმა „იუვე" მკაცრად დასაჯა — 17 ქულა დააკლო და სერია B-ში ჩააქვეითა.

„იუვენტუსი" განაჩენს არ შეეგუა და საქმის სამოქალაქო სასამართლოში გასაჩივრება განიზრახა, რამაც აღაშფოთა კიდეც ფიფა — სახელმწიფო-სამოქალაქო ორგანო არ უნდა ჩაერიოს საფეხბურთო საქმეში — წერია ფიფას წესდებაში.

მოკლედ, ფიფამ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია გააფრთხილა, თუ „იუვენტუსი" სასამართლოში იჩივლებს, თქვენს ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპიდან მოვკვეთთო. თავის მხრივ, ფიფასგან დაშინებულმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „იუვეს" მიმართა, სასამართლოსკენ გახედვა არც გაბედოო, მაგრამ... გუშინ „იუვენტუსმა" სამოქალაქო სასამართლოს კარი შეაღო და საქმე წარმოებაში გაუშვა...

**ქახა შალამბერიძე**

# ბილეთები ხვალიდან

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 3 სექტემბერს საქართველო — საფრანგეთის მატჩზე დასასწრები ბილეთები ხვალიდან, 26 აგვისტოდან გაიყიდება.

ბილეთების შეძენა „ეროვნულის" და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში შეგეძლებათ — ფასი 7, 15, 30, 40, 50 და 80 ლარი იქნება.

მატჩის დღეს კი ბილეთები მხოლოდ „მიხეილ მესხის" სალაროებში გაიყიდება — სფფ-იმ ასე უსაფრთხოების მიზნით და ჩოჩქოლის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა.

ჯერ კიდევ ძალაშია აბონემენტების დაჯავშნა. აბონემენტების მფლობელებისთვის სტადიონზე ცალკე შესასვლელი იქნება გამოყოფილი. ერთიც: უეფას მოთხოვნით, ყველა ასაკის ბავშვისთვის ბილეთი შეძენა აუცილებელია.

# საქართველოს სერბეთთან რუმინეთი მოარიგებს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 3 სექტემბერს ევრო 2007-ის მეორე შესარჩევი ეტაპის ჯგუფურ მატჩში სერბეთს მასპინძლობს. უეფამ ამ მატჩის მსაჯ-დელეგატთა ვინაობა უკვე აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას: არბიტრი — სებასტიენ კოლტესკუ, ასისტენტები — ეურგენ გეორგე და დრაგოს ილიესკუ, მეოთხე მსაჯი — ანტონ ხელესტეანუ. ოთხივე რუმინელები არიან.

უეფას დელეგატი შვეიცარიელი გვიდო კორნელა გახლავთ, ხოლო დამკვირვებელი — სლოვაკი იან ფასუნგი.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევის პირველ მატჩში ქართველებმა 16 აგვისტოს სტუმრად 0:1 წააგეს ლიტვასთან და ჯგუფიდან გასვლის შანსი რომ შეინარჩუნონ, სერბეთს აუცილებლად უნდა მოუგონ. მატჩი „მიხეილ მესხზე" გაიმართება.

**ქახა შალამბერიძე**

# ბლოხინის სა-ქართველო უკრაინა

**6 სექტემბერს** საქართველოს ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მესამე მატჩში კიევის „ოლიმპიისკიზე" უკრაინას შეხვდება.

მასპინძელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოსთან სათამაშოდ მოემზადებიან...

### მეკარეები

ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო);

### მცველები

ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (შახტარი), ალექსანდრ კუჩერი (შახტარი);

### ნახევარმცველები

სერგეი რებროვი (დინამო), ანდრეი გუსინი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), ოლეგ გუსევი (დინამო), მაქსიმ კალინიჩენკო (დინამო), ოლეგ შელაევი (დნიპრო), რუსლან როტანი (დინამო), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ალექსანდრ რიკუნი (მეტალისტი), სერგეი ტკაჩენკო (შახტარი);

### თავდამსხმელები

ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი), ალექსეი ბელიკი (შახტარი), არტიომ მილევსკი (დინამო).

# შოტლანდიას ფარერები ახსოვს

**2 სექტემბერს** ჩვენს ჯგუფში შოტლანდია იმ ფარერებს მასპინძლობს, რომელმაც წინა შესარჩევში სული გაუმწარა. ბრიტანელთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა საამატჩოდ 23 ფეხბურთელი შეარჩია...

### მეკარეები

ნილ ალექსანდერი (კარდიფი, უელსი), კრეიგ გორდონი (ჰართსი), გრემ სმიტი (მოზერუელი);

### მცველები

გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი (სელტიკი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), სტივენ მაკმანუსი (სელტიკი), გრემ მარტი (რედინგი, ინგლისი), გარი ნეისმიტი (ევერტონი, ინგლისი), რობი ნილსონი (ჰართსი), სტივენ პრესლი (ჰართსი), დევიდ ვეირი (ევერტონი, ინგლისი);

### ნახევარმცველები

დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერი, ინგლისი), პოლ ჰარტლი (ჰართსი), ლი მაკკალოხი (უიგანი, ინგლისი), ნაიჯელ კოში (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), სკოტ სევერინი (აბერდინი), გარი ტილი (უიგანი, ინგლისი);

### თავდამსხმელები

კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), კენი მილერი (სელტიკი), გარი ოკონორი (ლოკომოტივი, რუსეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — გადადებული მატჩი

ბოლნისი. 24 აგვისტო. 17.30. თამაზ სტეფანია

## სიონი 0:1 ოლიმპი

0:1 კახელიშვილი (25)

სიონი: ბობლიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე (რაქვიაშვილი 30), ფრიდოლინი, კობაური (კვიტაიშვილი46), ა. ალავიძე, ვ. უგრეხელიძე, სიჭინავა, შავგულიძე (ცხადაძე 33), ბაჯელიძე, ევორჩე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; სვანიძე, ქურასბედიანი, ზ. ჭელიძე
მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

ოლიმპი: მ. ალავიძე, მიმინოშვილი (ხოხონიშვილი 53), კახელიშვილი, დვალიშვილი (გ. თოდუა 70), სირბილაძე, აფციაური, ქებაძე, სეთურიძე, ხუბუა, მახვილაძე, ო. ონიანი
სათადარიგონი: ნაჭყებია; ვ. კვარაცხელია, კაკაბაძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: კობაური (38), ჭიჭვეიშვილი (70)

მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, მ. ელიკაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: შ. ბაქრაძე

# დეტექტივი ცოცხლად
## ჩხუბი, დევნა, სროლა

დავით თავართქილაძე ბოლნისიდან

...**კახელიშვილის** გოლამდე პირველ ტაიმში დიდად მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. „სიონმა“ რამდენიმე მწვავე შეტევა მიიტანა „ოლიმპის“ საჯარიმოსთან, მაგრამ ბოლნისელთა შეტევებს ლაზათი და ძალა აკლდა.

„ოლიმპი“ უკეთ გამოიყურებოდა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე და „სიონის“ ქაოტური იერიშების მოგერიება სტუმართათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

გოლი ასე გავიდა: ლაშა ქებაძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მისი დარტყმული მინდია ბობლიაშვილმა უხეიროდ მოიგერია და დამატებაზე გიორგი კახელიშვილმა მცველთან ბრძოლაში თავურით გადაგზავნა ბურთი კარში.

„სიონმა“ შეცვლებს მიმართა, მაგრამ ვერც ამან გამოაკეთა — ბოლნისელებს საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ და ვერც მარწუხები მოუჭირეს მეტოქეს.

ორთაბრძოლები, პრესინგი, ბურთის გაგორება, შეტევაზე სწრაფად გადასვლა — „ოლიმპი“ ამ კომპონენტებში აღემატებოდა მეტოქეს, თუმც წუნი მასაც ჰქონდა.

უსუსური პირველი ტაიმის შემდეგ „სიონისგან“ მეორე ტაიმში თამაშის მკვეთრად გაუმჯობესება იყო მოსალოდნელი. თუმც ბოლნისელებს მხოლოდ ის გამოუვიდათ, რომ მეტოქე თანდათან ზეწოლის ქვეშ მოაქციეს, ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ.

მეორე ტაიმის მეორე წუთზე გიორგი კვიტაიშვილმა მარცხენა მახვილი კუთხიდან მოუძებნა ღრიჭო „ოლიმპის“ კარს — ბურთი ბადეში აღმოჩნდა, თუმც თანამსაჯმა სიონელთა თამაშგარე დააფიქსირა, რამაც ქომაგთა უკმაყოფილება გამოიწვია და დაგროვილმა უარყოფითმა ემოციებმა მატჩის შემდეგ ამოხეთქა...

72-ე წუთი: ნაკუთხურალ ბურთს ევორჩემ თავი შეაგება, მაგრამ ახლოდან ხარიხას გადაავლო.

78-ე წუთი: დავით ჭიჭვეიშვილმა ხარიხა შეატორტმანა, აქედან რამდენიმე წამში თენგიზ სიჭინავამ დაარტყა ოციოდე მეტრიდან და „ოლიმპი“ მიხეილ ალავიძის ნახტომმა იხსნა.

სახიფათო მომენტი „ოლიმპმაც“ შექმნა — კახელიშვილმა ერთი მცველი გააბითურა და მარჯვენა მახვილი კუთხიდან ბობლიაშვილს შეაწყვიტა ბურთი.

მატჩის მიწურულს „სიონმა“ შტურმი თუ შტურმისმაგვარი ვერ მოაწყო — ჩემპიონი მეთვრამეტე ეროვნულში მეორედ დამარცხდა.

მატჩის შემდეგ დამხვდურთაგანნი შეხვედრის დამკვირვებელ შოთა ბაქრაძეზე გაიწივნენ. სტადიონიდან რამდენიმე ასეულ მეტრში კი „ოლიმპის“ დირექტორატის წევრ ზურაბ ჯაფარიძეს მოუწყვეს ობსტრუქცია — ჯაფარიძე ხომ ადრე „სიონის“ პრეზიდენტი იყო.

უარესი ინციდენტიც მოხდა — თბილისისკენ მიმავალ „მერსედესს“, რომელშიც „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა იჯდა, ვილაც დაედევნა მანქანით და ოლიმპელებისთვის იარალი დაუმიზნებია. ზოგი იმასაც ირწმუნებოდა, ეს „ვილაც“ ოფიციალური პირი იყო და ჰაერშიც ისროლაო.

ერთი სიტყვით, გუშინდელ ინციდენტებს გაგრძელება აუცილებლად უნდა მოჰყვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| დილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

# იბერიას ორჯერ მოგება

**ფუტსალში** საქართველოს ჩემპიონმა „იბერიამ“ სომხეთის ჩემპიონ „ადანას“ ამხანაგურად უმასპინძლა.

გაიმართა ორი შეხვედრა და ორივეში „იბერიამ“ იმარჯვა — 2:1 და 9:4.

„იბერიამ“ პირველი მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჯამბურია, ლალა, კლეოშიო, ელიასი, ცნობილაძე, თორთლაძე, ლუიზიო როში, ჩალაძე, ალთუნაშვილი, სარქისიანი, წერეთელი, ვ. აკოფიანი.

მეორე შეხვედრაში კი საქართველოს ჩემპიონმა ამ შემადგენლობით ითამაშა: ე. აკოფიანი, გვარამაძე, ალთუნაშვილი, ლუიზიო როში, ცნობილაძე, თორთლაძე, კლეოშიო, ჩალაძე, ელიასი, სარქისიანი, წერეთელი, ლალა.

ცნობისთვის: „იბერია“ ევროპის ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ ემზადება.



მეხიკო, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: არგენტინა — გერმანია. არგენტინელები 2:1-ს იგებენ, ანდრეას ბრემე აწვდის კუთხურს, **დიტერ ჰიონესი** თავით უგდებს ბურთს რუდი ფიოლერს და ისიც თავურით ათანაბრებს ანგარიშს...

ბერლინის „ჰერტას“ მენეჯერ დიტერ ჰიონესს ასზე მეტი გოლი გაუტანია ბუნდესლიგაში, მიუნხენის „ბაიერნში“ ის კარლ-ჰაინც რუმენიგეს და პაულ ბრაიტნერის გვერდით თამაშობდა. „ბაიერნში“ ხუთჯერ გახდა ბუნდესლიგის ჩემპიონი და სამჯერ გერმანიის თასის მფლობელი.

ჰერ ჰიონესი 80-იან წლებში მეტნილად შეცვლაზე თამაშობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში, ბევრის მნახველი კაცია ფეხბურთში და, როცა მას თბილისში „ჰერტას“ ვარჯიშზე ვესაუბრე, წარსულზეც ბლომად ვილაპარაკეთ...



# კლასიკური ცხრა ნომრის სიტყვა: საუკეთესო ქართველი ათი ნომერი იყო
## დიტერ ჰიონესი ძველ და ახალ გერმანიაზე

— მოხარული ვარ, საქართველოშიც თუ იციან, რომ რუდი ფიოლერს მაშინ პასი მე მივეცი, თუმც მხოლოდ თავით თამაში არ იყო ჩემი კოზირი. კლასიკური ცხრა ნომერი ვიყავი. მეტოქის საჯარიმო მოედანში ჩემი მიმართულება მქონდა. კალე რუმენიგე სწრაფი და ოსტატური იყო და ბურთი ისე მოჰქონდა ჩემამდე, რომ უნდა გამეტანა — თავდასხმაში სხვა საქმეს არ მიტოვებდა.

**— გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ფორვარდად მას მიიჩნევთ?**

— საუკეთესო გერდ მიულერი იყო. 80-იან წლებში კი რუმენიგეს ბადალი არ ჰყავდა. მაგრამ მან დიდ ტურნირებში, როგორიც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპია, ისე ვერ ითამაშა, როგორც შეეძლო, თუ არ ჩავთვლით ევროპის 1980 წლის ჩემპიონატს და ესპანეთი 82-ს, დიდ ტურნირებში მას რაღაც ემართებოდა, ხან ტრავმირებული იყო, ხან კი... ამიტომაც ვერ ითამაშა კარგად 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. პლატინი, პელე, კრუიფი, ბეკენბაუერი, მარადონა — ასეთი ხუთეულის შემდეგ რუმენიგე საუკეთესოთა შორისაა. ჩვენს დროს გერმანიაში ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფორვარდი თამაშობდა — კლაუს ფიშერი, კლაუს ალოფსი, რუდი ფიოლერი, მაგრამ კალე შეუდარებელი იყო.

**— 1986 წელი თქვენი კარიერის მწვერვალი იყო?**

— ჩემი, როგორც ფეხბურთელის კარიერით ძალიან კმაყოფილი ვარ. 1986 წლის მუნდიალის შემდეგ თამაშისთვის თავის დანებება მინდოდა, მაგრამ ჩემმა ძმამ ულიმ გადამათქმევინა და კიდევ ერთი წელი ვითამაშე. ული მართალი აღმოჩნდა — 1987 წელს „ბაიერნი“ ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა და მეც „პორტუსთან“ მატჩის შემდეგ შევეშვი ფეხბურთელობას.

**— თქვენი ძმა მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერია და სულ მედიის ყურადღების ცენტრშია. მას ისეთი იმიჯი აქვს, თითქოს ძალიან მკაცრი და ცივი დამოკიდებულება აქვს „ბაიერნის“ ფეხბურთელებთან — მისი ინიციატივით გუნდიდან წავიდნენ ისეთი ვარსკვლავები, ჯოვანი ელბერი, შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი რომ იყვნენ...**

— ჩემს ძმასთან არავის აქვს პრობლემა, უბრალოდ, ის კლუბში ძალიან ბევრ რამეზეა პასუხისმგებელი და ყოველთვის ვერ იტყვის ლამაზ სიტყვებს. რასაც ის აკეთებს, ეს აუცილებელია. ეფენბერგი და ელბერი მას პატივს სცემდნენ, რაც შეეხება ბასლერს, ის არ იყო დიდი ფეხბურთელი, ბასლერს ჰქონდა ფანტასტიკური ტალანტი, მაგრამ არა იყო ასი პროცენტით კონცენტრირებული მოედანზე.

**— სებასტიან დაისლერი „ჰერტადან“ მიუნხენის „ბაიერნში“ რომ გაუშვით, ამაშიც თქვენ ძმის ხელი ურევია?**

— „ჰერტა“ იძულებული იყო, ეს გაეკეთებინა, რადგან „ბაიერნი“ ჩვენზე მდიდარი კლუბია, „ბაიერნი“ ყველასთვის დიდი ბრენდია. მას რომ დავეწიოთ, დროა საჭირო, თუ არა და, „ჰერტაშიც“ უნდა მოვიდეს ერთი აბრამოვიჩი.

**— ბუნდესლიგაში ყველაზე ტექნიკურად მოთამაშე ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?**

— ერთ-ერთი მათგანი ჩვენი ბაშთურქია, გერმანელთაგან კი კლოზეს და შნაიდერს გამოვარჩევდი ამ კრიტერიუმით. „ჰერტაში“ გვყავს ახალგაზრდა კევინ ბოატენგი, მას მამა განელი ჰყავს, დედა გერმანელი — მის სახელს მალე გაიგებთ. ის ახლა დაშავებულია და ამიტომ ვერ ითამაშებს „ამერთან“.

**— ევროპაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— ჩემთვის ყველა დროის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი დავით ყიფიანია.

**— ყიფიანი საბჭოთა რეჟიმისას თამაშობდა და მისი ამბების გაგება არ გიჭირდათ?**

— გერმანიის მაშინდელი ტელევიზია და პრესა იძლეოდა იმის საშუალებას, გაგვეგო, რომ ყიფიანი დიდი ფეხბურთელი იყო.

**— და ბოლოს: კლაუს ტოპმიოლერს როგორ დაახასიათებდით?**

— გამოცდილი მწვრთნელია, ფეხბურთელობისასაც მოხერხებული და ჭკვიანი იყო. საქართველომ კარგი არჩევანი გააკეთა.

დავით თავართქილაძე

# ტორპედო ხურციძეს ფულს უგროვებს

**გუშინ** ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა საკუთარ ბაზაზე აქცია მოაწყეს და კლუბის პრეზიდენტ გრიგოლ ხურციძის განთავისუფლება მოითხოვეს — ხურციძე რამდენიმე კვირის წინ დააკავეს და ერთწლიანი პატიმრობა შეუფარდეს. ტორპედოელების თქმით, პრეზიდენტის განთავისუფლების სანაცვლოდ, ისინი მზად არიან ის თანხა შეაგროვონ და გადაიხადონ, რასაც პროკურატურა ხურციძეს ედავება.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი

## A ჯგუფი

**ბარსელონა** ესპანეთი

**ჩელსი** ლონდონი, ინგლისი

**ვერდერი** ბრემენი, გერმანია

**ლევსკი** სოფია, ბულგარეთი

I ტური. 12.09.06
ჩელსი – ვერდერი
ბარსელონა – ლევსკი
II ტური. 27.09.06
ლევსკი – ჩელსი
ვერდერი – ბარსელონა
III ტური. 18.10.06
ვერდერი – ლევსკი
ჩელსი – ბარსელონა

IV ტური. 231.10.06
ლევსკი – ვერდერ
ბარსელონა – ჩელსი
V ტური. 22.11.06
ვერდერი – ჩელსი
ლევსკი – ბარსელონა
VI ტური. 05.12.06
ჩელსი – ლევსკი
ბარსელონა – ვერდერი

## B ჯგუფი

**ინტერი** მილანი, იტალია

**ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია

**სპორტინგი** ლისაბონი, პორტუგალია

**სპარტაკი** მოსკოვი

I ტური. 12.09,.06
სპორტინგი – ინტერი
ბაიერნი – სპარტაკი
II ტური. 27.09.06
სპარტაკი – სპორტინგი
ინტერი – ბაიერნი
III ტური. 18.10.06
ინტერი – სპარტაკი
სპორტინგი – ბაიერნი

IV ტური. 31.10.06
სპარტაკი – ინტერი
ბაიერნი – სპორტინგი
V ტური. 22.11.06
სპარტაკი – ბაიერნი
ინტერი – სპორტინგი
VI ტური. 05.12.06
სპორტინგი – სპარტაკი
ბაიერნი – ინტერი

## C ჯგუფი

**ლივერპული** ინგლისი

**პსვ** ეინდჰოვენი, ჰოლანდია

**ბორდო** საფრანგეთი

**გალათასარაი** თურქეთი

I ტური. 12.09.06
გალათასარაი – ბორდო
პსვ – ლივერპული
II ტური. 27.09.06
ლივერპული – გალათასარაი
ბორდო – პსვ
III ტური. 18.10.06
ბორდო – ლივერპული
გადათასარაი – პსვ

IV ტური. 31.10.06
ლივერპული – ბორდო
პსვ – გალათასარაი
V ტური. 22.11.06
ბორდო – გალათასარაი
ლივერპული – პსვ
VI ტური. 05.12.06
გალათასარაი – ლივერპული
პსვ – ბორდო

## D ჯგუფი

**ვალენსია** ესპანეთი

**რომა** იტალია

**ოლიმპიაკოსი** პირეოსი, საბერძნეთი

**შახტარი** დონეცკი, უკრაინა

I ტური. 12.09.06
ოლიმპიაკოსი – ვალენსია
რომა – შახტარი
II ტური. 27.09.06
შახტარი – ოლიმპიაკოსი
ვალენსია – რომა
III ტური. 18.10.06
ვალენსია – შახტარი
ოლიმპიაკოსი რომა

IV ტური. 31.10.06
შახტარი – ვალენსია
რომა – ოლიმპიაკოსი
V ტური. 22.11.06
ვალენსია – ოლიმპიაკოსი
შახტარი – რომა
VI ტური. 05.12.06
ოლიმპიაკოსი – შახტარი
რომა – ვალენსია

## E ჯგუფი

**რეალი** მადრიდი, ესპანეთი

**ლიონი** საფრანგეთი

**სტიაუა** ბუქარესტი, რუმინეთი

**დინამო** კიევი, უკრაინა

I ტური. 13.09.06
დინამო – სტიაუა
ლიონი – რეალი
II ტური. 26.09.06
რეალი – დინამო
სტიაუა – ლიონი
III ტური. 17.10.06
სტიაუა – რეალი
დინამო – ლიონი

IV ტური. 01.11.06
რეალი – სტიაუა
ლიონი – დინამო
V ტური. 21.11.06
სტიაუა – დინამო
რეალი – ლიონი
VI ტური. 06.12.06
დინამო – რეალი
ლიონი – სტიაუა

## F ჯგუფი

**მანჩესტერი** ინგლისი

**სელტიკი** გლაზგო, შოტლანდია

**ბენფიკა** ლისაბონი, პორტუგალია

**კოპენჰაგენი** დანია

I ტური. 13.09.06
მანჩესტერი – სელტიკი
კოპენჰაგენი – ბენფიკა
II ტური. 26.09.06
ბენფიკა – მანჩესტერი
სელტიკი – კოპენჰაგენი
III ტური. 17.10.06
სელტიკი – ბენფიკა
მანჩესტერი – კოპენჰაგენი

IV ტური. 01.11.06
კოპენჰაგენი – მანჩესტერი
ბენფიკა – სელტიკი
V ტური. 21.11.06
ბენფიკა – კოპენჰაგენი
სელტიკი – მანჩესტერი
V1 ტური. 06.12.06
მანჩესტერი – ბენფიკა
კოპენჰაგენი – სელტიკი

## G ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი, ინგლისი

**პორტუ** პორტუგალია

**ცსკა** მოსკოვი, რუსეთი

**ჰამბურგი** გერმანია

I ტური. 13.09.06
პორტუ – ცსკა
ჰამბურგი – არსენალი
II ტური. 26.09.06
არსენალი – პორტუ
ცსკა – ჰამბურგი
III ტური. 17.10.06
ცსკა – არსენალი
პორტუ – ჰამბურგი

IV ტური. 01.11.06
არსენალი – ცსკა
ჰამბურგი – პორტუ
V ტური. 21.11.06
ცსკა – პორტუ
არსენალი – ჰამბურგი
VI ტური. 06.12.06
პორტუ – არსენალი
ჰამბურგი – ცსკა

## H ჯგუფი

**მილანი** იტალია

**ლილი** საფრანგეთი

**აეკ** ათენი, საბერძნეთი

**ანდერლეხტი** ბრიუსელი, ბელგია

I ტური. 13.09.06
ანდერლეხტი – ლილი
მილანი – აეკ
II ტური. 26.09.06
აეკ – ანდერლეხტი
ლილი – მილანი
III ტური. 17.10. 06
ლილი – აეკ
ანდერლეხტი – მილანი

IV ტური. 01.11.06
აეკ – ლილი
მილანი – ანდერლეხტი
V ტური. 21.11.06
ლილი – ანდერლეხტი
აეკ – მილანი
VI ტური. 06.12.06
ანდერლეხტი – აეკ
მილანი – ლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# პირველი ბულგარელი ლიგაში

## კარგად შეამოწმე ბუცები, ბეჭდები და საყურეები

**სპარტაკი (რუსეთი) 2:1 ლიბერეცი (ჩეხეთი) (0:0)**
1:0 მოცარტი (23), 1:1 ჰოდური (73პ), 2:1 პავლიუჩენკო (79)
გაძევება: ზაპოტოჩნი (56, ლიბერეცი)

**ბოლესლავი (ჩეხეთი) 1:1 გალათასარაი (თურქეთი) (2:5)**
0:1 ჰასან შაში (73), 1:1 პალატი (88)

**სტიაუა (რუმინეთი) 2:1 სტანდარდი (ბელგია) (2:2)**
0:1 იოვანოვიჩი (2), 1:1, 2:1 ბადეა (35, 51)
გაძევება: სა პინტუ (82, სტანდარდი)

**ფენერბახჩე (თურქეთი) 2:2 დინამო (უკრაინა) (1:3)**
0:1 შაცკიხი (5), 1:1 აპია (36), 1:2 შაცკიხი (42), 2:2 ზენგინი (57)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:1 ლილი (საფრანგეთი) (0:3)**
0:1 ოდელი (18)
გაძევება: იანკოლოვსკი (83, რაბოტნიჩკი)

**რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) 0:2 ცსკა (რუსეთი) (0:3)**
0:1 კარვალიო (8), 0:2 ვაგნერ ლავი (32)

**აიაქსი (ჰოლანდია) 0:2 კოპენჰაგენი (დანია) (2:1)**
0:1 სიბერბაუერი (59), 0:2 ვერმაელენი (77ს.კ.)

**ლეგია (პოლონეთი) 2:3 შახტარი (უკრაინა) (0:1)**
1:0 ვლოდარჩიკი (19), 1:1 მარიჩა (25); 1:2 ფერნანდინიო (29), 1:3 მარიჩა (45), 2:3 ვლოდარჩიკი (87)

**აეკ (საბერძნეთი) 3:0 ჰართსი (შოტლანდია) (2:1)**
1:0 სეზარი (79პ), 2:0 ლიბეროპულოსი (82), 3:0 სეზარი (86)
გაძევება: ბრელიერი (30, ჰართსი); მაკკანი (63, ჰართსი)

**კიევო (იტალია) 2:2 ლევსკი (ბულგარეთი) (0:2)**
0:1 ტელკისკი (35), 0:2 ბარდონი (47), 1:2, 2:2 ამაური (48, 81)
გაძევება: ლანა (83, კიევო), ვაგნერი (90, ლევსკი)

**არსენალი (ინგლისი) 2:1 დინამო (ხორვატია) (3:0)**
0:1 ედუარდო (12), 1:1 ლიუნგბერგი (77), 2:1 ფლამინი (90)




„შახტარი“ „ლეგიას“ გადაახტა

**ამსტერდამში** რა მოხდა იცით? „აიაქსმა“, რომელსაც „კოპენჰაგენთან“ პირველი შეხვედრა დანიის დედაქალაქში 2:1 ჰქონდა მოგებული, შინ 0:2 წააგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ვერ შევიდა. ლეგენდარულ კლუბს უეფას თასზე მოუწევს ევრობედის ცდა — აი, ეს ამბავი გამოდგა ოთხშაბათის მთავარი თემა.

მართლაც, ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი თავისზე როგორც სახელით, ასევე კლასით დაბალ მდგომ დანიის ჩემპიონს იოლად ვერ მოუმთავრებდა საქმეს?

„დღეს ჩვენსკენ სწორედ ის იღბალი იყო, რომელმაც ორი კვირის წინ ასე გვაქცია ზურგი — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „კოპენჰაგენის“ მწვრთნელმა სტალე სოლბაკენმა — ჩვენი პირველი გოლის შემდეგ „აიაქსმა“ მაღალი ჩაწოდებებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, არადა დაცვაში მაღალი ცენტრალური მცველები გვყავს და ამან საქმე გაგვიიოლა. ვფიქრობ, მოწინააღმდეგეს კოპენჰაგენშიც ვაჯობეთ და ამსტერდამშიც, ამიტომ ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ ამ წყვილიდან „აიაქსი“ უნდა გასულიყო“.

„აიაქსის“ მწვრთნელი ჰენკ ტენ კატე: ცალკეული მოთამაშეების უმწიფრობამ ჩაგვაგდო ამ დღეში. პირველ ტაიმში რამდენიმე მომენტი შევქმენით, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ, თუმცა ჩვენი მთავარი პრობლემა მაინც სხვა იყო. გუნდმა შეიძლება, პირველი გოლი გაუშვას, მაგრამ ამის დრამატიზირება არ უნდა მოახდინოს“.

და მართლაც, პირველ ტაიმში „აიაქსმა“ მოწინააღმდეგეს თვალნათლივ აჯობა. ამსტერდამელებს ანგარიშის გახსნა უკვე მე-8 წუთზე შეეძლოთ, როდესაც რაიან ბაბელის ასხლეტილი დარტყმა ძელს მოხვდა. მასპინძლებმა ამის შემდეგაც ბევრი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან — გაბრიმ ახლოდან ორჯერ ვერ გაიტანა თავით, ხოლო კიდევ ერთი დარტყმა მეკარე იესპერ კრისტიანსენმა მოიგერია, მაგრამ ისევე, როგორც ორი კვირის წინ, ჰოლანდიელების დაცვამ უშეცდომოდ ვერც ამჯერად ითამაშა. 59-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან შორეული ძელის წინ ჩაკიდებულმა ჯარიმამ „აიაქსი“ გაბზარა, ხოლო შევარდნილმა მიხაელ სიბერბაუერმა ბურთი ბადეში შეაგდო: მეორე გოლი კი თავისი გუნდის კარში თომას ვერმაელენმა შეაგდო. მან მარჯვნიდან ჩაკიდებულ ბურთს შეუცვალა მიმართულება.

საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე კლაას-იან ჰუნტელაარმა სტუმრების კარის ძელი შეაზანზარა, მაგრამ ვაგლახ, ძელის ზანზარმა ამსტერდამელებს დამატებითი დრო ვერაფრით მოუტანა.

ხოლო იტალიელებს კალჩოპოლის სკანდალის გამო ჩემპიონთა ლიგაში სხვა გუნდების გაყვანა და „კიევოს“ უკან გამოყვანაც მოუწიათ. ვერონის გუნდი სოფიის „ლევსკიმ“ გამოაძევა, რომელმაც შინ მოგებულ 2:0-ს იტალიაში 2:2 დაამატა და შეიქნა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილი პირველი ბულგარული გუნდი.

ანგარიში 35-ე წუთზე ბულგარელმა დამიტარ ტელკისკიმ გახსნა — ამ ეპიზოდში იტალიელებმა თავის საჯარიმოსთან მომენტის ხეირიანი განმუხტვა ვერ მოახერხეს — რასაც 47-ეზე სედრიკ ბარდონის მეორე გოლი მოყვა. აღსანიშნავია, რომ სოფიელების ამ გოლს შორის, ამაურის მეკარე გიორგი პეტკოვმა არ გაატანინა, თუმცა ამაურიმ თავის საქმე მაინც გააკეთა და „ლევსკის“ კარში ორი გოლი მაინც შეაგდო. თუმცა მეორე ტაიმს დაღი ორმა გაძევებამ დაასვა. „კიევოს“ მცველი სალვატორე ლანა ემილ ანგელოვისთვის იდაყვის მირტყმის გამო გააძევეს, ხოლო ლუსიოს მსაჯის წამატებულ წუთებში მეორე ყვითელი ერგო.

შოტლანდიური „ჰართსის“ ლიტველი მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი კი მსაჯ იური ბასკაკოვს ლანძღავს. მიზეზი: რუსმა არბიტრმა ათენში, აეკ-თან 0:3 წაგებულ შეხვედრაში ორი მოთამაშე, ფრანგი ჟულიენ ბრელიერი და შოტლანდიის ნაკრების წევრი ნილ მაკკანი გააძევა. ბრელიერის ბასკაკოვმა 30-ე წუთზე მიუთითა გასახდელისკენ — ოთხწუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათი აუფრიალა.

„ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ამგვარი მსაჯობა წარმოუდგენელია — ცხარობდა მატჩის შემდეგ ივანაუსკასი — მგონი ვიღაცამ გაგვაშაყირა. თამაშის დაწყებამდე მოთამაშეებს ბუცები და ბეჭდები შეუმოწმა და თქვა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, შემდეგ კი ბრელიერის საყურის გამო ყვითელი ბარათი აუფრიალა“.

ბრელიერის გაძევება კი ბასკაკოვმა მისი და ვლადინ ივიჩის მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს იდაყვის აქნევის გამო გადაწყვიტა.

ივანაუსკასი: „კალათბურთი რომ კალათბურთია, მსაჯი პერსონალურსაც კი არ მისცემდა“. რაც შეეხება მაკკენს, ის რუსმა მსაჯმა 61-ე წუთზე ორი ფეხით ვარდნისთვის გააძევა.

და ისევ სამკაულებზე. ტელევიზორში აშკარად ჩანდა, რომ აეკის თავდამსხმელ ჟულიო სეზარს, რომელმაც სამი გოლიდან ორი შეაგდო, ბეჭედი ეკეთა...

„ბეჭდების შემოწმება ჩემი საქმე არ არის, ჩემი საქმე მოგებაა და ჩვენ ეს დამსახურებულად შევძელით“ — თქვა ათენელთა მწვრთნელმა ლორენსო სერა ფერერმა.

ათწლიანი „მონატრების“ შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს დაუბრუნდა ბუქარესტის „სტიაუა“, რომელმაც ბელგიურ „სტანდარდთან“ 2:1 მოუგო, სტუმად კი 2:2 ჰქონდა ნათამაშები. „ლია მანოლიუს“ სტადიონზე თამაშს 45 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

მაქსიმ შაცკიხის ორი გოლის წყალობით კი კიევის „დინამომ“ სტამბოლის „ფენერბახჩე“ ჩამოიშორა გზიდან.

**პაპუნა კედია**




AFP

„კოპენჰაგენის“ ამსტერდამული სიხარული

# ევროპის სუპერთასი 2006
## მონაკო. ლუი II. დღეს

### ბარსელონა (ესპანეთი) – სევილია (ესპანეთი)

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

| ბარსელონა | სევილია |
|---|---|
| ვალდესი; ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, დეკუ, მესი, ჟიული, რონალდინიო, ეტოო | პალოპი, დანიელ ალვეში, ხავი ნავარო, ესკუდე, კასტედო, ხესუს ნავასი, რენატო (ან კრისტიან პოულსენი), მარესკა, ადრიანო კორეა, კანუტი, ლუიშ ფაბიანო (ან ჩევანტონი) |




რაიკარდი და რამოსი მონაკოში ესპანურად იბრძოლებენ

# მონაკოში შეიყარნენ დავითი და გოლიათი

„**ჩვენ მათ** ისე დავამარცხებთ, როგორც ბიბლიურმა დავითმა გოლიათს სძლია" — ეს სიტყვები ესპანური „სევილიას" პრეზიდენტ ხოსე მარია დელ ნიდოს ეკუთვნის. ანდალუზიელთა თავკაცმა დავითში თავისი „სევილია", ხოლო გოლიათში შესაბამისად „ბარსელონა" იგულისხმა.

დღეს მონაკოს „ლუი მეორეზე" ევროპის სუპერთასისთვის ერთმანეთს ესპანური გუნდები — „სევილია" და „ბარსელონა" შეერკინებიან. რა თქმა უნდა, არ ვიცით, რამდენად რელიგიურია სენიორ დელ ნიდო, თუმცა მეტად სწორი შედარება რომ გააკეთა, წყალი არ გაუვა. „ბარსა" შარშან ისედაც ძლიერი იყო და წელს „კამპ ნოუზე", მსოფლიოს ჩემპიონი ჯანლუკა ძამბროტა, გამოცდილი ფრანგი ვეტერანი ლილიან ტურამი და ჟოზე მაურინიუს მიერ „თეთრ მარადონად" მონათლული ისლანდიელი თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი მივიდნენ... საერთო აღიარებით, კატალონიური გრანდი გასულ სეზონზე უკეთესად ბურთაობს.

რაიკარდის გუნდმა ესპანეთის სუპერთასი უკვე მოიგო. „ბარსამ" ორი შეხვედრის ჯამში მეზობელი „ესპანიოლი" 4:0 შეჭამა. ასევე ოთხი გოლი, თუმცა ერთ მატჩში გაუტანეს „გამპერის თასზე" „კამპ ნოუზე" ჩასულ მიუნხენის „ბაიერნს"... „2006-07 სეზონის ექვსივე დიდი ჯილდო უნდა მოვიგოთ" — თქვა კატალონიელთა პრეზიდენტმა ლაპორტამ. თუ მისი გუნდის სიძლიერეს გავითვალისწინებთ, ეს დაუჯერებლად ნამდვილად არ მოგვეჩვენება.

„ბარსელონამ" ევროპის სუპერთასისთვის აქამდე 5 ომი გამართა. კატალონიელები სამ შეხვედრაში დამარცხდნენ, ორი კი მოიგეს. 1992-93-ის სეზონში „ბარსამ" „ვერდერს" სძლია, 1997-98-ში კი „დორტმუნდს".

„გასულ სეზონში ბრწყინვალედ ითამაშეს, ამიტომაც მათთან სიფრთხილე გვმართებს" — ეს უკვე ბარსელონელთა ვარსკვლავმა ხავიმ, „სევილიას" შესახებ თქვა. ანდალუზიელებმა უეფას თასი შთამბეჭდავად მოინადირეს, ხუანდე რამოსის გუნდს ფინალში ალბიონური „მიდლსბრო" შეეწირა (4:0). მართალია, ბარსასნაირი სალარო არ გააჩნიათ, მაგრამ სევილიელებმაც ამ სეზონთაშორისში კარგი ფეხბურთელები იყიდეს: დანიელი ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი, გერმანელი მცველი ანდრეას ჰინკელი და ურუგვაელი მოერიშე ერნესტო ჩევანტონი.

„ჩვენ მონაკოში ევროპის საუკეთესო კლუბს უნდა შევხვდეთ. მიუხედავად ამისა, მოთამაშეთა განწყობა საბრძოლოა. ვეცდებით, „ბარსას" შეცდომები გამოვიყენოთ" — განაცხადა სევილიელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა. „სევილიას" მონაკოში ტრავმირებულები: აიტორ ოსიო და დუდა ვერ დაეხმარებიან.

**ლადო ხომერიკი**

# ხოაკინი დაფრთიანდა

**კიკე სანჩეს ფლორესის** „ვალენსიამ" „ბეტისისგან", ანდალუზიური გუნდის მთავარი ვარსკვლავი ხოაკინ სანჩესი იყიდა. 25 წლის ნახევარმცველი „ღამურებმა" 25 მილიონ ევროდ შეიძინეს.



ხოაკინი „მესტალიაზე" 6 სეზონით დარჩება. აქედან პირველ სეზონში 1,8 მილიონ ევროს მიიღებს, ყოველ მომდევნოში კი მისი ჯამაგირი შესამჩნევად გაიზრდება, სანამ 2,8 მილიონ ევროს არ მიაღწევს.

ესპანეთის ნაკრების წევრი თავის ყოფილ კლუბ „ბეტისის" ფეხბურთელებს ემოციურად დაემშვიდობა. „ვტოვებ გუნდს, რომელსაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები უკავშირდება" — განაცხადა ხოაკინმა ჟურნალისტებთან.

აწ უკვე ვალენსიელი მოთამაშე „ბეტისის" ძირითადი შემადგენლობის ლიდერი 2000-01-ის სეზონიდან გახლდათ. „ახლა კი კარიერას „ვალენსიაში" გავაგრძელებ, კლუბში რომელიც საუკეთესო საფეხბურთო თვისებების გამოვლენაში „ბეტისზე" მეტად შემიწყობს ხელს" — ამბობს ხოაკინი.

**ლადო ხომერიკი**

# შენ დაუკარ, ვიქტორია გამოფრინდება!




**სანამ** დევიდ ბექემი „რეალში", ესპანური პრიმერასთვის ქანცგაწყვეტით ემზადება, მისი მეუღლე ვიქტორია ლონდონში მხიარულად ატარებს დროს. ინგლისურმა „დეილი მეილიმ" მავანი კაზინოდან ლამეული ლაშქრობის შემდეგ გამოსული ვიქტორიას ფოტოები გამოაქვეყნა. საეჭვოა, ეს სურათები დევიდს მოეწონოს — პოში, როგორც ხედავთ, უნუგეშოდ მთვრალი გახლავთ...

ექსსპაის გოგო კაზინოდან, დილით ადრე გამოძვრა. „დეილი მეილი" გვამცნობს, რომ ვიქტორიას თანმხლები მეგობრებიც გვარიანად ნასვამნი იყვნენ... დევიდ ბექემმა მარტო ვარჯიშზე მზადებაზე არ უნდა იფიქროსო — ეწერა ინგლისურ მედიაში.

**ლადო ხომერიკი**

# უენონი
## მადრიდში იჭორავეს და დაიშალნენ




**რონალდო** მადრიდის „რეალში" რჩება. კასტილიურმა გრანდმა და „მილანმა" საერთო ენა ვერ გამონახეს და კიჭას „სან სიროზე" გადასვლაც ჩაიშალა.

ოთხშაბათს დიდმილანური დელეგაცია იყო მადრიდში ჩასული. ესპანეთის სატახტოს „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა ეწვივნენ. მათთან მოლაპარაკებებს „რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი და დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი აწარმოებდნენ.

თათბირი გვიან ღამემდე გაგრძელდა, თუმცა მხარეები ვერ შეთანხმდნენ და გალიანიც რონალდოს გარეშე დაბრუნდა იტალიაში. „რეალმა" კიჭას სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო და პლუს ამას ბრაზილიელი კაკა მოითხოვა. „მილანი" კი კაკას გაცემაზე სასტიკ უარზე წავიდა და ოდენ 25 მილიონი გაიმეტა რონალდოს შესაძენად, რაც მადრიდელებს არ მოეწონათ და ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ საპატიო სტუმრები პრეზიდენტ კალდერონის კაბინეტიდან თავაზიანად დაითხოვეს.

სხვა რა ხდება მადრიდში? ურუგვაელი კარლოს დიოგო ფაბიო კაპელომ ერთი სეზონით „სარაგოსაში" იჯარით გააგზავნა. დიოგო 23 წლისაა, „ბერნაბეუზე" „რივერ პლეიტიდან" შარშან მოვიდა და წესით, იქ 5 სეზონით უნდა დარჩენილიყო, თუმცა ოკეანისგაღმელმა „რეალის" თავკაცთა იმედები ვერ გაამართლა და საამსეზონო ბედს არაგონულ კლუბში მოსინჯავს.

**ლადო ხომერიკი**

# ბედოიას ბედი პეკერმანია



**კოლუმბიური** „ელ ტიემპოს“ ცნობით, ამ ქვეყნის ნაკრებს, სავარაუდოდ, სათავეში არგენტინის ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი ხოსე პეკერმანი ჩაუდგება.

„ფეხბურთის ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ლუის ბედოიას კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელად ხოსე პეკერმანის დანიშვნა უნდა. არგენტინელიც ამაზე უარს არ ამბობს. ჯერჯერობით კი ეროვნულ გუნდს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ედუარდო ლარა უხელმძღვანელებს“ — ეწერა გუშინდელ „ელ ტიემპოში“.

ამავე გაზეთიდან ვიგებთ, რომ პეკერმანი ლარის ადგილს ალბათ, იანვარში დაიკავებს. ხოსე ნესტორ პეკერმანს არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად სამი მუნდიალი (ყატარში 1995, მალაიზიაში 1997 და არგენტინაში 2001) აქვს მოგებული. პატაგონიელთა ძირითად ნაკრებში კი მისი მოღვაწეობა გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში მასპინძლებთან წაგების შემდეგ დასრულდა.

**ლადო ხომერიკი**

# ოიერი: როგორ თბილა!




**ჰოლანდიურ** „პსვ ეინდჰოვენსა“ და მის მცველ, ანდრე ოიერს შორის გამართული დიდი გარჩევის ბოლოს დასახელდა თანხა, დაახლოებით 3 მილიონი ევრო, რომელიც, როგორც ჩანს, ყველას აწყობს, მათ შორის ინგლისურ „ბლექბერნ როვერსსაც“. რა შუაშია „ბლექბერნი“? 32 წლის ფეხბურთელი სწორედ ამ თანხად პრემიერლიგის სწორედ ამ გუნდმა იყიდა. ოიერი უკვე გაფრინდა ინგლისს, სადაც სამედიცინო შემოწმება გაიარა და ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს, რომლის ერთ-ერთ პუნქტად წერია, რომ თუ ორი წლის მერე მხარეები ერთმანეთით კმაყოფილები იქნებიან, მაშინ მესამე წელიწადსაც არაფერი დაუდგება წინ.

„ბედნიერი ვარ აქ რომ ჩამოვედი. ერთი სული მაქვს როდის ჩავერთვები საქმეში. იმედი მაქვს, რომ ჩემი კარიერის წარმატებით გასაგრძელებლად სწორი ნაბიჯი გადავდგი. როდესაც შენი შეძენით „ბლექბერნის“ დონის გუნდი დაინტერესდება, იქ არჩევანი აღარ გაქვს. აქ ისეთი თბილი მიღება მომიწყვეს, რომ თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მშობლიურ „პსვ“-ში ვიყო. „ბლექბერნში“ გადმოსვლის შესახებ ჭკუა რუუდ ვან ნისტელროისაც დავეკითხე და მან აქაურობა ძლიერი მიქო“ — თქვა ოიერმა.

**პაპუნა ძიდია**

# ლოპეს კარომ მსოფლიო იყიდა

**ესპანურმა** „ლევანტემ“ ორი ნახევარმცველი — ბრაზილიელი ზე მარია და ფრანგი მეტიუ ბერსონი იყიდა. ჟოზე მარსელო ფერეირა ანუ ზე მარია შარშან მილანის „ინტერში“ თამაშობდა. იგი ბრაზილიის ნაკრების წევრიცაა, „ლევანტეში“ კი ჯერჯერობით ერთი სეზონით იბურთავებს.

რაც შეეხება ბერსონს — გალი ნახევარმცველი ვალენსიელებმა ინგლისური „ასტონ ვილასგან“ შეიძინეს. ბერსონი „ლევანტეში“ სამი სეზონით დარჩება. ფრანგი გასულ წელს „ოსერში“ ბურთაობდა იჯარით და შინაურ ლიგაში მიღწევებითაც შეუძლია, იამაყოს. ადრე „ნანტთან“ ერთად, ბერსონმა 2000 წელს — საფრანგეთის თასი, ხოლო 2001-ში ქვეყნის ჩემპიონობა და სუპერთასი მოიგო.



ზე მარია

მეტიუ ბერსონი და ზე მარია პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „ლევანტესთვის“ მეცხრე და მეათე ახალწვეულები არიან. იქამდე გუნდში ტომაზი, მეიონგ ზე, ალვარო, სეზარი, რობერტი, დეუ, გასპარი და ნინო მოვიდნენ. მწვრთნელად კი ვალენსიელებს ხუან რამონ ლოპეს კარო ჰყავთ, მადრიდის „რეალის“ ექსდამრიგებელი.

**ლადო ხომერიკი**



# რემო არ გახეხავს

**„ტულუზის“** მეკარე კრისტოფ რევო „რენში“ გადადის. 34 წლის გოლკიპერმა პირველობისთვის ბრძოლა წააგო ნიკოლა დუშეზთან და სათადარიგოთა სკამის ხეხვას არ აპირებს. „რენი“ კი, რომელმაც შვედი ანდრეას ისაკონსი „მანჩესტერ სიტის“ მიჰყიდა, მეკარეს ეძებდა და მიაგნო — რევოს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

„ტულუზიდან“ ერთი გოლკიპერის წასვლამ კვლავ წარმოშვა ჭორები ამ გუნდში ფაბიენ ბარტეზის“ გადასვლის თაობაზე, მაგრამ კლუბის თავმჯდომარე ოლივიე სადრანმა განაცხადა: „მის შეძენას არ ვაპირებთ, რევოს კი „რენში“ გავუშვებთ, რადგან გუნდისთვის თავი არ დაუზოგავს“.

ტულუზელებზე კიდევ ის შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ტუნისელი ფორვარდი, ფრანსელინო დუშ სანტუში ჯერ არ მომჯობინებულა. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბარძაყის ტრავმა მიიღო და ნაკრების ექიმის დიაგნოზით, მალე უნდა გამოკეთებულიყო, თუმცა „ტულუზში“ ხელმეორე გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტრავმა გაცილებით სერიოზულია და ახლა რეაბილიტაციის კურს გადის. გუნდის მწვრთნელმა ელი ბოპმა განაცხადა: „ვიმედოვნებთ, რომ ოპერაციის გარეშე შეძლებს მომჯობინებას“.

**ირაკლი ნინიძე**

# დიარაობა ლიონში

**დიარანი** წავლენ და წამოვლენო, არა? ამბობენ, „ლიონიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასულ მამადუ დიარას „ლანსიდან“ მოწვეული ალუ დიარა შეცვლისო. და მაინც, დიარებს შორის არის განსხვავება: მაჰამადუ მალის ნაკრების წევრია, ალუ კი საფრანგეთისა. „ლიონმა“ „ლანსს“ 7 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

— „ლიონის“ წევრობა დიდი პატივია — თქვა 25 წლის ნახევარმცველმა, რომელმაც ახალ კლუბს ხელმოწერით ოთხწლიანი ერთგულება უნდა დაუდასტუროს. მისი აგენტი იანოშ ტოტი ადასტურებს, რომ ტრანსფერს წინ, ფაქტობრივად, არაფერი უდგას და „ლიონის“ შუქნიშანზე მწვანე აინთება თუ არა, ყველაფერი უცბად მოგვარდება.



ცნობილია ისიც, რომ „ლანსი“ უკვე შემცვლელის ძიებაშია და, როგორც ირკვევა, „ცრვენა ზვეზდას“ მილან ბისევაჩს მიადგა, მის შემტევ ნახევარმცველს ოლივიე ტომერტს კი „მანჩესტერ სიტი“ უტრიალებს. სხვათა შორის ტომერტს ამ ზაფხულის დასაწყისში 7 მილიონ ევროდ „პორტსმუთი“ ეპატიჟებოდა. როგორც ჩანს, ამ ფეხბურთელს ინგლისი არ ასცდება.

**პაპუნა ძიდია**

# მაქსის ათლეტობა მოსწონს

**მაქსი როდრიგესმა** მადრიდის „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი „ვისენტე კალდერონზე“ 2010 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს.

„მაქსი შესანიშნავი და გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია. კარგია, რომ ჩვენთან კიდევ 4 სეზონით დარჩება“ — განაცხადა მადრიდელი „ათლეტების“ მექსიკელმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ.

შეგახსენებთ, რომ მუნდიალზე როდრიგესის ჩაუქი ბურთაობის შემდეგ, პატაგონიელის შეძენით იტალიური კლუბები, თანაქალაქელები „მილანი“ და „ინტერი“ დაინტერესდნენ, თუმცა მაქსიმ მაინც „ატლეტიკოში“ დარჩენა ამჯობინა.

გარდა ამისა, „ათლეტები“ არსენალელი ხოსე ანტონიო რეიესის ყიდვასაც აპირებენ. „მარკას“ ცნობით, დედაქალაქური კლუბი მზადაა, სევილიელ თავდამსხმელში 12 მილიონი ევრო გადაიხადოს. „არსენალი“ კი რეიესს 18 მილიონად აფასებს. ხოსეს შეძენა მადრიდის „რეალსაც“ უნდა. ასე რომ, ერთმანეთს სატრანსფერო ომში კასტილიური ჯარები დაეტაკებიან.

**ლადო ხომერიკი**



# ეს არ იყო ჩემი გუნდი

## სოლსკიაერი გაცოცხლდა: ერთი გოლი სამ წელიწადში



AFP მოდელსრობიდან

მარკ ვიდუკას გოლმა „ჩელსი“ დაჩოქა

**ესეც შოკი!** მარკ ვიდუკამ მსაჯის წამატებულ წუთებში შეხვედრის გადამწყვეტი გოლი გაიტანა და „მიდლსბრომ“ ინგლისის ჩემპიონ „ჩელსის“ 2:1 მოუგო. ვიდუკამ მეკარის ბაქნის კიდესთან იაკუბუს პასი მიიღო და ლონდონელი მეკარე კარლო კუდიჩინი ლონიერი დარტყმით „დახვრიტა“. ამავე თამაშში მოხდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი რამ — პირველი პრემიერლიგური გოლი შეაგდო ანდრეი შევჩენკომ. უკრაინელმა უეინ ბრიჯის პასით ანგარიში გახსნა, მაგრამ მიდლსბროელმა ემანუელ პოგატეცმა მეორე ტაიმში თავური გაათანაბრა ანგარიში. პოგატეცს მაღალი ბურთი ჯარიმიდან ფაბიო როჩემბაკმა ჩააწოდა. მიმომხილველები ამბობენ, რომ თუ „ჩელსი“ ასე ითამაშებს, მას ამ სეზონში კიდევ ელის გაწბილებები.

„მიდლსბრომ“, რომელსაც გარეთ საუთგეიტი. წვრთნის, მატჩი ჩინებულად დაიწყო და გაისკა მენდიეტას, კრის რიგოტსა და იაკუბუს იმთავითვე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა.

